ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №887900

ნომერი: AR1160157

თარიღი : 07.09.2013

გაცემის თარიღი : 10.09.2013

გაცნობის თარიღი : 11.09.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 110ა (ნაკვ.01/016) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ სურვილაძე პ/ნ 01024001606
- თბილისი კ.შევარდენიძის ქ. N 7 ბ. 41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1160157 07.09.2013წ. განცხადების პასუხად რომლითაც ითხოვთ #01.19.13.001.016 საკადასტრო ერთეულზე საწარმოო ობიექტის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვთზე სამსახურის მიერ 26.04.2013 წელს გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები №632262 (აქტის მესაკუთრე ირაკლი ბექაური), №713732 29.05.2013წ. ბრძანებით შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია ნებართვა ღვინის ქარხნის მშენებლობისთვის;

გამომდინარე აქედან გაურკვეველია თქვენი მოთხოვნა, თუ რა სახის საწარმოო ობიექტის განთავსება გსურთ; იმ შემთხვევაში თუ გსურთ ახალი ობიექტის დამატება (ღვინის ქარხნის გარდა სხვა დანიშნულების ობიექტი), უნდა დააფიქსიროთ თუ რა ტიპის საწარმოო ობიექტის განთავსებას გეგმავთ (აღნიშნულის დაფიქსირება შესაძლებელია მოთხოვნის ტექსტში), რის შემდეგაც №632262 26.04.2013 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა განხორციელდეს ცვლილება, რისთვისაც Tas.ge–ზე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: Tas.ge –ზე ელექტრონული განაცხადები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და მიუთითოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ბრძანების ნომერი და თარიღი – №632262 26.04.2013

ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, შესაბამისი მოთხოვნით უნდა მოგვმართოს აღნიშნული აქტების მესაკუთრემ (ირაკლი ბექაური) ან დაფიქსირდნენ თანაგამცხადებლად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge